ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/13148124-16 09 07 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, პეკინის გამზ. №31-ში, №31ა-ში, №31გ-ში/ანა კალანდაძის ქ.№7-ში, (საკ.კოდი №01.10.13.013.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია (№16.501 ფართზე მიშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №680330 08.05.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, პეკინის გამზ. №31-ში, №31ა-ში, №31გ-ში/ანა კალანდაძის ქ.№7-ში, (საკ.კოდი №01.10.13.013.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

წინა ფასადზე კედელზე შეფრქვეულია ქვიშა ცემენტის ხსნარი ე.წ. "ბრიზგი". განმარტებითი ბარათის მიხედვით კედლები არ არის შეღებილი ღია ნაცრისფრად.

"1-2" მონაკვეთში განთავსებულია გამწოვი ღიობი.

შენობის შიგნით "ბ-ბ" ღერძთან კედელი გადაწეულია უკან 40 სმ-ით და განთავსებულია სვეტებს შორის.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „შოთიკო"-ს, ცირა კვაჭანტირაძეს ქ. თბილისში, პეკინის გამზ. №31-ში, №31ა-ში, №31გ-ში/ანა კალანდაძის ქ.№7-ში, (საკ.კოდი №01.10.13.013.044) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია (№16.501 ფართზე მიშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13148124-16 28.05.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე თ. გორგობიანი